



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 6434
21/12/2018

6434-09-2-201812211754



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.გ" ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტსა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 1061-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2019 წლის ----- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიმიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22 30 09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2019 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N2 დადგენილება. (ვებგვერდი, matsne.gov.ge 12/01/2018 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016338)

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესი

წინამდებარე წესი აწესრიგებს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტისა და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან, თანხის ორგანიზებასა და გაცემაზე უფლებამოსილ პირველად სტრუქტურულ-ერთეულს, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს.

თავი I

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები

მუხლი 1. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

- ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
- ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ტრანსპორტირების ქვეპროგრამა.

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა:

- ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა.
- ბ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა.
- დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების ქვეპროგრამა.
- ე) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა:

- ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა.
- ბ) წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის ქვეპროგრამა.
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა.
- ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა:

- ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
- ბ) შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა.

თავი II

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების ორგანიზებაზე

პასუხისმგებელი პირველადი სტრუქტურული ერთეული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების (განათლების ხელშეწყობის პროგრამა; კულტურის ღონისძიებების პროგრამა; სპორტული ღონისძიებების პროგრამა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა) დაფინანსების ორგანიზებას უზრუნველყოფს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების მისაღებად განცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან, დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
2. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა.
3. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამებიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შუამდგომლობით.
4. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განცხადებების განხილვა

შემოსულ განცხადებებს განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

მუხლი 5. სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღება

სამსახური, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების საკითხის განხილვისას, ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ VI თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

მუხლი 6. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც სამსახურის დასკვნის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას ან/და აფორმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

მუხლი 7. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსება

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.